ჩემპიონატი

შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე

12 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარებულ მატჩს, სსრკ ჩემპიონის **– მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს"** ფეხბურთელთა სანიმუშო გუნდებს შორის, 50.000 მაყურებელი დაესწრო.

სრულ 5 საათზე დაიწყო თამაში. პაიჭაძე პირველსავე წუთზე მარჯვენა ფრთიდან უსხლტება ხელიდან ა. სტაროსტინს და მოხერხებულად აწვდის ბურთს ცენტში.

მე–5 წუთზე "სპარტაკი" დაჯარიმდა კორნერით. კუთხიდან მაღალ ბურთს ურტყამს პაიჭაძე. ვ. სოკოლოვის ცდა, სხარტი ნახტომით მოეგერიებინა სახიფათო ბურთი, უშედეგო გამოდგა. ამით ისარგებლა ხარბედიამ და მეკარე აკიმოვისათვის სრულიად მოულოდნელი ბურთი გაახვია სპარტაკელთა კარის ბადეში.

ფროლოვმა, რომელსაც ამ ფრიად საპასუხისმგებლო მატჩში განსაკუთრებული სიფხიზლითა და ენერგიით უნდა ეთამაშა, სრულებით ვერ აუღო ალღო მოწინააღმდეგეთა ელემენტარულ კომბინაციებსაც კი და დაიბნა იმდენად, რომ მისკენ მიმავალ თავისუფალ ბურთსაც კი აცდენდა ხშირად. ასეთი თამაშის შედეგად ა. სოკოლოვმა მე–13 წუთზე თავისუფლად მოატყუა ფროლოვი და მეკარე ტყებუჩავასთან პირისპირ დამდგარმა 5 მეტრი მანძილიდან გაიტანა მკვდარი ბურთი.

სპარტაკელებთან პირველი ბურთის გატანამ მეტი ენთუზიაზმი გამოიწვია, ისინი დარწმუნდნენ, რომ გარემარბებზე თამაში ამჯერად მათ შედეგს არ მისცემდა, ამიტომ, ანგარიშის გადიდებისათვის საჭირო იყო ნახევარდამცველთა თამაში რაც შეიძლება წინ, რათა დახმარებოდნენ შეტევების ორგანიზატორებს – ა. სოკოლოვსა და სტეპანოვს.

ეს ამოცანა სპარტაკელებმა ბრწყინვალედ შეასრულეს. რამდენიმე მწვავე ბრძოლის შემდეგ 37-ე წუთზე ბურთი მიიღო ა. სოკოლოვმა, მან მოატყუა დინამოელთა ორი მოთამაშე და გადასცა იგი გლაზკოვს, ამ უკანასკნელმა კი შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ცენტრისაკენ. დინამოელთა კარის წინ მოთამაშეები აირდაირივნენ. მეკარე ტყებუჩავა ვერ ამჩნევს თუ ვისთან იმყოფება ბურთი. ამით ისარგებლა გამოცდილმა თავდამსხმელმა სტეპანოვმა და მეორე ბურთი გაახვია თბილისელთა კარში.

პირველი ტაიმი დამთავრდა სპარტაკელთა სასარგებლოდ, ანგარიშით – 2:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარი, როგორც მოსალოდნელი იყო დაიწყო დინამოელთა შეტევით. თამაში მთლიანად გადავიდა "სპარტაკის" საჯარიმო მოედანზე. ხშირია არათავისუფალი საჯარიმო დარტყმები, კორნერი და არაერთგზისი კრიტიკული მომენტები, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მეკარე აკიმოვი სრული დატვირთვით ჩაება ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავდამსხმელები, ნახევარდაცვა და დაცვა გარს შემოერტყნენ თავიანთ კარებს, აკიმოვს დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა.

თბილისის თავდამსხმელები, იმის მაგივრად, რომ განუწყვეტელი "ბომბარდირება" მოეხდინათ "სპარტაკის" კარისა, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ხშირი დრიბლინგებით და ბურთის "ღეჭვით", რაც ასეთ შემთხვევაში ტაქტიკურად გაუმართლებელია.

მიუხედავად თბილისელთა მთელი რიგი უპირატესობისა, მათ ვერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მატჩი დამთავრდა მოსკოვის "სპარტაკის" გამარჯვებით, ანგარიშით – 2:1.

კარგად სჯიდა თამაშს მსაჯი არაქელოვი (ბაქო).

ვ. გ–ლია.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 მაისი, 1940 წ.